საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030618868649219

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3107 **22 / აგვისტო / 2019 წ.**

სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორს
ბატონ გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, რომ ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეგროვებისა და სხვადასხვა პოლიტიკური და ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, 2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადგანაც ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ის დანერგილია ყველა განვითარებულ და მრავალ განვითარებად ქვეყანაში.

კიბოს რეგისტრის ფუნქციონირების უმთავრესი მიზანია კიბოთი ავადობის შესახებ სრული და სარწმუნო ინფორმაციის არსებობა, რაც კიბოზე კონტროლის გაუმჯობესების, ეპიდემიოლოგიური კვლევებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების დაგეგმვის, პრევენციული და მკურნალობის მეთოდების შეფასების საშუალებას იძლევა. რეგისტრის ამოქმედებამდე საქართველოში კიბოს შესახებ მონაცემთა შეგროვება მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა, რაც იწვევდა ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების რეალური სურათის დამახინჯებას, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო (IARC) და ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი (IHME), მიერ წარმოებული შეფასებითი მაჩვენებელების რეალურ მონაცემებთან მკვეთრ სხვაობას აფიქსირებდა.

კიბოს რეგისტრის შემოღებამ შეცვალა მონაცემთა შეგროვების ტექნოლოგია - დაინერგა პერსონიფიცირებულ მონაცემთა სისტემა, რაც გაფართოებული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: პაციენტის სქესი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სერვისის მიღების ადგილი, სერვისის მიღების დაწესებულება; სიმსივნის ლოკალიზაცია, მორფოლოგია, დიფერენციაციის ხარისხი, სტადია, კონფირმაციის ტიპი, მკურნალობის მეთოდები, გამოსავალი.

კიბოს მართვის ერთიანი ინფორმაციული სისტემის შემოღებამ კიდევ უფრო გააფართოვა ონკოლოგიური დაავადებების მონიტორინგის შესაძლებლობები, რადგანაც მის ერთ-ერთი კომპონენტი ასევე კიბოს სკრინინგის მონაცემებია. აღნიშნული სისტემის განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს თითოეული დაავადებულის მკურნალობის ეტაპების მიდევნება (follow-up), რაც მკურნალობის ეფექტურობის ანალიზის საფუძველს იძლევა.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი დადებითი მახასიათებლებისა და მონაცემთა ხარისხისა და მოცვის გაუმჯობესებისა, სისტემის განვითარების პროცესში არაერთი გამოწვევა წარმოჩინდა, მათ შორის ძირითადს მონაცემთა სისრულე და ხარისხი წარმოადგენს, რაშიც იგულისხმება ანგარიშგებაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მოცვის მაჩვენებელი, წარმოებული მონაცემების სიზუსტე და ანგარიშგების დროულობა. მეთვალყურეობის შესაძლებლობიდან გამომდინარე, აუცილებელია დამყარდეს მუდმივი მონიტორინგი და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემთა შედარება.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის მოქმედ მონაცემების მიმოცვლის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გთხოვთ, 2019 წლის I და II კვარტლის და შემდგომ ყოველკვარტალურად მოგვაწოდოთ ონკოლოგიური პაციენტების შესახებ თქვენს ხელთ არსებული მონაცემები (საყოველთაო ჯანდაცვისა და ვერტიკალური პროგრამები), როგორიცაა:

- პაციენტის სახელი;
- პაციენტის გვარი;
- პირადი ნომერი;
- დიაგნოზი;
- დიაგნოზის დასმის თარიღი;
- მკურნალობის დაწყების თარიღი;
- მკურნალობის ტიპი და კომპონენტი;
- ჩარევის კოდი (NCSP კლასიფიკატორით);
- პაციენტის მისვლის თარიღი;
- პაციენტის გაწერის თარიღი;
- სამედიცინო დაწესებულების დასახელება;
- დაწესებულების მისამართი;
- სამედიცინო დაწესებულების საგადასახადო კოდი;
- ონკომედიკამენტის შემთხვევაში:
    - ა) მედიკამენტის პირველი გაცემა
    - ბ) მედიკამენტის დასახელება

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ანგარიშგებისას გათვალისწინებული იყოს აღნიშნული ინფორმაციის რეგისტრაციის აუცილებლობა კიბოს ერთიან ინფორმაციულ სისტემაში, რისთვისაც გთავაზობთ საკონსულტაციო შეხვედრას თქვენთვის სასურველ დროს.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე